

# ქუა ქუის მკვერი

(რუსულიდან)



თარგმანი ა. წითლიძისა.

ზამოცემული ქ. თაგა-თქილაძისაგან.

თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ე. ხელაძისა საპ. } Типогр. Е. Хеладзе, Спб.

ქუჩ., საკ. სახ. № 4      ყა. ციბ. 1 № 4.

1889

შ ი ნ ა ა რ ს ი .

I გლახაი. II განადგურება. III დედა. IV მოღობარაყება.  
V მდევრად გამოსული. დედა. VI იერიში. VII ღვაწლი. VIII  
სინიღისი. IX გასამართლება. X მსჯავრ-დადებული.

---

*Тифлисъ. Дозволено цензурою 18 Апрелья 1889 г.*

---

# გ ლ ა ხ ა კ ი

## I.

საფრანგეთში შინაური განხეთქილება სუფევდა. მანდეელები ახალი წესების შემოღების წინააღმდეგნი იყვნენ, პარიჟელები-კი ამათ მემამბოხეთ უწოდებდნენ და გზავნიდნენ მათ წინააღმდეგ ჯარებს. ამ ჯარებს დაუხვედა ერთობ ძლიერი მოწინააღმდეგე. ბაწერტონილ ჯარის გამოყვანა ეანდეელებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ, არც ჰქონდათ ამისათვის ღონისძიება; ამიტომ სჯერდებოდნენ მცირე გუნდებს, რომელნიც გაფანტვით მოქმედებდნენ. ღლეს ერთს ადგილზედ დამარცხებულნი, ისინი ხვალ მეორეზედ იკრიბებოდნენ ასეთივე გუნდებით და მზად იყვნენ უფრო აღარე დახოცილიყვნენ, ვინემ დაუთმობდნენ, მანამ თვის საქმეს საშართლიანად ჰკულობდნენ. მახურდა ომი განძინდა. პარიჟელებს სწაღდათ ჩქარა დაეფოთხოც ისინი და ამ გვარად ბოლო მიეღოთ ამ დაეიდარაბისათვის, მაგრამ რაც მეტი სიმძაფრე იქნებოდა მათის მხრით ნახმარი, მით უფრო საზარლად უკებდნენ

შურს ვანდევლები კოველივე სისასტიკისათვის. მრთხელ წყნარი და მშვიდი ქვეყანა სისხლის ველად გარდიქცა. ამაწ დიდხანს გასტანა. ათალობით «ლურჯები» (ასე უხმობდენ ხალხში პარიკელებს ტანისამოსის ფერის გამო) ვერ სძლევდენ თავის მტრებს «თეთრებს» — (ვანდევლებს), თუმცა უკანასკნელნი მხოლოდ ათობით ითვლებოდენ. ამათ მიუკარებელ და უშიშარ წინამძღოლთ გაცემაში «ლურჯები» ჰპირდებოდენ დიდძალ საჩუქრებს; ამის თაობაზედ განცხადებებს აკრავდნენ ხოლმე სახლების კედლებზედ და გზის ბოძებზედ. მრთხელ, საღამოთი, ერთს ამ გვარ ვანცხადების წინ შესდგა განმარტოებული მგზაერი, მალალი, მოხდენილი მოხუცი, გლეხის ტანისამოსით. «ბნელადა. მან გაკირვებით ამოიკ თხა განცხადება. აქ წათქვამი იყო, რომ სამოცი ათასი მანეთი ჯილდოთ მიეცემა იმას, ვინც შეიპყრობს და მიიყვანს ლურჯების ბანაკში ადგილო ბრივე მეამბოხეთა წინამძღოლს მარკიზ ლანტენაქს. ეს დაპირება შემოწმებული იყო ვილაკას ხელის მოწერით, მაგრამ მგზაერმა ვერ გაარჩია ის და გააგრძო გზა ფერლოზე. მთვარეც გამოჩნდა. მგზაერი მივიდა გზა-ჯვარედინთან და რალაც მოსაზრებაში შეჩერდა. მან, ალბად, არ იცოდა, თუ საით მიეცეულიყო.

— სად მიდიხარ შენა? დაეკითხა ვილაკა.

მგზაერი შემოტრიალდა. ბზის პირის ჯაგებიდ-

ვან ჯოხის ბიჯებით გამოვიდა მოხუცებული კაცი, ქალარა, ძონძებში გახეული, მაღალი და წელში მოხრილი, შესდგა და განუმეორა.

— სად მიხვალ შენა?

— რა შენი სიქმეა? — მიუგო მგზავრმა.

— უმჯობესია მითხრა.

— მინა ხარ შენ?

— მე გლახაკი ვარ, შენ-კი მარკიზ ლანტენაკი.

— შენ ალბად დამხეერე, რომ გამცე... შენი იღბალია... ღაცინვით უთხრა მგზავრმა.

— შენ იმ სოფელში მიდიოდი? ჰკითხა პასუხის ნაცელად ძონძებში გახეულმა.

— ღიახ.

— იქ «ლოურჯები» დგანან.

— ღიდი ხანია?

— მესამე დღეა. აამბობენ, ხვალ გავლენ იქიდანაო.

— ბევრნი არიან ისინი?

— მანდ ნახევარი ბატალიონია. პოლკი-კი იქითა სდგას.

— მისი უფროსობის ქვეშ არის ეს პოლკი?

— სიმურდენი განაგებს.

— რაო? ხალხმა კი მიიღო ისინი იქ?

— აბა, როგორ არ მიიღონ.

— სრულებით არ შეებრძოლეს?

— არაფერ არ შეჰპოპოლებია.

— შოჩალები ყოფილან, სთქვა მარკიზმა. სოტა  
| იჩუმის შემდეგ დაუმატა:

— სოფელში დაჰკრეს ხმაურობა?

— დაჰკრეს.

— ეს რაღათა?

— რომ შენ შევიპყრან. მანცხადებას ნახავდი.

— მნახე.

პი, აგრეა. შენ დაგეძებენ. წავადეთ მე დაგმა-  
ლაე.

— სადა?

— ჩემთან დაგმალაე. მე ქოხი მაქვს რწორედ  
| სარდაფივით.

— მაშ შენ ჩვენკენ «თეთრებისკენ» ხარ?

— მე არაფისაკენ არა ვარ, გლაზაკი ვარ.

— ხომ ხედავ, რომ იბრძვიან? მის მომხრეობ შენ?

— მე ამ საქმეებისათვის არა მცხელა.

— აკი დამალვას მპირდებოდი ამ საათში?

— მერე რაო! თუ კაცს შესაპყრობლად სდე-  
ვენ, უნდა დაიხსნა. ამბობენ, რომ კანონით შენ  
უნდა მოგკლან. მე კანონებისა არა ვიცი რა. შემ-  
ხედრია, რომ შიმშილით ვკვდებოდი. მანა ამ გვა-  
რი კანონებიც არის?

— ღიღი ხანია რაც მათხოვრობ?

— მთელს ჩემს სიცოცხლეში.

— ჩემთვის კარგი ძალი ფულებია აღთქმული ბამცემისათვის.

— მიცი. მეც ამას ეფიქრობდი. ღაგიკვლევს ვინმე, გამდაღრებას მოინდომებს. უმჯობესია ჩემთან შეეფარო. ხეალ «ლურჯები» თავის მხვერავეებით წაფლენ და შენც წახეალ.

მარკიზი გაჰყვა გლახაკს. ისინი ჩაეშვენ ღრიანტელში. ღაბერებულს მუხის ძირებს შუა სორო იყო. მს სორო კაცის საღგომს შეადგენდა. თუმცა დაბალი და ბნელა იყო, მაგრამ ადგილი ორთავესთვის საკმაო იყო. ძუთხეში იდგა სასმისი წყლით; აქვე ეწყო შემწვარი წაბლის ხროვა და შავი ლაეაში.

— შოღი ვივანშმოთ. უთხრა მასპინძელმა.

ამათ გაიყვეს წაბლი. მარკიზმა შუაზედ გატეხა თავისი თეთრი პაქსიმატი, გლახაკმა თავისი ლაეაში გაუყო და დაატანდენ წყალს საერთო სასმისიდგან. შაიმართა ხელახლა საუბარი.

— მათ შენ არ იცი ვისთვის ისურვო გამარჯვება, ეუბნებოდა მარკიზი.

— შრთის გამარჯვება, მეორესთვის უბედურება იქნება, მიუგო გლახაკმა. მე ამაში ხელი არა მაქვს.

— რა გქვიან შენ?

— მე «ბერიკაცი» დამარქვეს. ორმოცი წელიწადია აგრე მისმობენ.

— პი მაგრამ ორმოცი წლის უკან შენ ხომ ახალგაზდა იქნებოდლი?

— არ მახსოვს ჩემი ახალგაზდობა. ხელაე მე და შენ ერთი ხნისანი ვართ. შენ ვაჟკაცი ხარ ჟანიანი, მე კი ძლივს დაეფოფხაე.

— აქაური ხარ შენ?

— აქაური ვარ.

— რა ნაირად მიცნობ მე?

— რატომ არ უნდა გიცნობდე. შენ აქ მამულეებიცა გაქვს, ისიც ვიცი, რომ ორის წლის უკან ინგლისში გაემგზაერე. აღრეც ბევრ გზით მინახებხარ.

— მე-კი სრულებითაც არ მაგონდები შენ.

— რად უნდა გახსოვდეს გლახაკები?

— შეგხვედრივარ შენ ახლოს?

— მერე რამდენ ჯერ? სამოწყალოც მოგიცია. მინც აწედის არ აკვირდება, ვინც ლებულობს, მას ყველა სახეში ჰყავს. ხან მთელი დღეები მშვიერი რჩები. მისიმე ხელი გროშს გადმოგიგდებს, ეს გროშები-კი საზრდოა. როგორ არ დაეხსომო. აი, ეხლა ჩემი ჯერია, მე გაძლევ შენ შემწეობას.

— შენ ხომ მიხსნი? ეს მეტია.

— ბიხსნი, მაგრამ პირობით.

— რა პირობით?

— რომ რაიმე ბოროტ-განზრახვა არ გეღოს გულში.



— პირიქით... მე კეთილი წადილების პატრონი ვარ; სიშართლეს ექომაგობ.

— მაშ მადლობა ღმერთს! მხლა-კი დაეძინათ.

მსინი ერთი-მეორის გვერდით გაიშხლართენ კედელთან და ორივე ძილს მიეცა. დილით, როცა მარკიზს გამოეღვიძა, მოხუცი ფეხზე იდგა, გარეთ, შესავალთან, თავის ჯოხზედ დაკრდომილი. მზე შუქს ჰფენდა იმას.


— მთხი საათია, უთხრა მან მარკიზს, მანლობელ სამრეკლოზედ დაჰკრეს, ქარს ხმა მოაქვს. სოფელში სიჩუმეა. «ლურჯებს» სძინავსთ, ან წასულან. ჩვენ ეხლა დაეშორდებით ერთმანეთს. მე ჩემ საქმეზედ წავალ, შენ-კი თავისაზედ. მშვიდობით! შეგიძლიან თან წაბლი წაიღო, როცა წახვალ, დაუმატა მოხუცმა, თავი გადუქნია და გასწია.

მარკიზი წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, გზა-ჯვარედინთან, სადაც გუშინ გლახაკი შეხვდა, იდგა ძველი ქვის ჯვარი და მანვდ თეთრად მოჩანდა გაკრული განცხადება. მარკიზმა კიდევ საღამოს შენიშნა ის და იცოდა რომ ის ადრევე წაკითხული განცხადებისთანა იყო. ის მიემართა ჯვრისკენ, რომ ბოლომდის ჩაკითხოს ეს განცხადება იმ ადგილის ქვემოდ, სადაც შეპყრობისათვის ჯილდო იყო აღთქმული, წვილის ხელით ეწერა: «როცა მარკიზ ლანტენაკს შეიპყრო-

ბენ, დაუყოვნებლივ დაიხვრიტება თორფითა. ხელს აწერს «ბატალიონის გამგე ბოვენნი.»

— ბოვენნი!.. განიმეორა მარკიზმა, შესდგა, ერთ-ხელ კიდევ წაიკითხა, ნაღელთანად განიმეორა ეს სახელი, შემდეგ გაჰხედა შორს სივრცეში და გასწია.

ბოვენნი მისი დისწული იყო, მისი მკვიდრი დის შეილი და იმავე ღროს მისი მტერი, ეინაიდგან მეორე მხარეზედ იდგა და პოლკოვნიკის სიმურდენის გაზრდილი იყო. სიმურდენი, კაცი ძლიერის ჭკუის და მელგარის ხასიათის მექონი, აფასებდა ბოვენს, როგორც საუკეთესოს ამხანაგებში და ხელ-ქვეითებში. ეს კიდევ არაფერი, — როგორც უცოლშვილოს, სიმურდენს შეილივით უყვარდა ბოვენნი. იმათ ჰქონდათ ერთი შეხედულება, ერთი და იგივე წადილები. სისხლით უცხონი, ისინი მახლობელნი იყვნენ სულიერად. სიმურდენი სთვლიდა ბოვენს საუკეთესოდ ადამიანებში. ამათ ორნივეს მხურვალედ უყვარდათ თავისი სამშობლო ქვეყანა. ორივენი მზად იყვნენ თავი შეეწირათ ამისათვის და ორივეს ლანტენაკი თავის მომხრეებით ამის მტრებად მიაჩნდათ.



# განადგობა

## II.

ზღაზაკმა კაი ძალი გზა განელო. ის მიდიოდა ნელა, დაბრუნდა გვიან. ბინდისას. დაბრუნებულმა შენიშნა, რომ სოფლი! პირდაპირ ცა სქელი-კომლით მოცულიყო. კომლი სხვა-და-სხვა გვარი იქნება სისქის და ფერის მიხედვით, — ის იქნება მშვიდობიანი — გახიზრებული ფურანის კომლი, როცა ჯალაბობა სადილს, ან ეახშამს იმზადებს, და იქნება ზარ-დამცემი — ბოროტის მომასწავებელი, — ეს გაძლიერებული ცეცხლის კომლია. ზღაზაკმა ერთბაშად გაარჩია, რომ მის წინ ეს უკანასკნელი კომლი სდგას: შავი ბოლქვები წითლად აგზნებულის ცეცხლით შეფერვანებულები და ცის სიერცემში შეშუქებული ცეცხლის სინათლე. — ზღაზაკმა უმატა ნაბიჯს და გაექანა იქითკენ, რომ გაიგოს, თუ რა მომხდარა. მახლობელ სერიოზთან ყველაფერი მოჩანდა, როგორც ხელის გულზედ, სოფლის ნაცვლად რჩებოდა აბულებული ხროვა ნანგრევთა. ზღაზაკი თითქოს შეჩერდა. მის წინ ტარციალი გაჰქონდა და იგზნებოდა ვეება კოცანი. თითქმის სრულიად თავ-მინებებული. ძაცის აჩრდილიც არ ჩანდა. ხმა არ ისმოდა. სოფლის მოსაზღვ-

ღერე წაბლის ტყეში ცეცხლი მოედო რამდენსამე მუხას და ისინი აენთენ უზარ-მაზარი სანთლებივით. რაიქნენ მცხოვრებნი? თუმცა ისინი ბევრნი არ ყოფილან, რადგან სოფელიც პატარა იყო, მაგრამ მაინც სად არიან? მოხუცისათვის ეს შეადგენდა უმთავრეს გამოცანას. ის ჩქარობდა გამოცნობას და გული უწერილდებოდა: როცა მიუახლოვდა, იწაწყდა საშიშარს შავს ხროვას, სუსტად განათლებულს ერთის მხრით მთვარით და მეორეს მხრით ცეცხლის შუქით. ეს იყო უსულო გეძები.— მოხუცი წახარა, რომ გასინჯოს დახოცილი სალდათების მძოვრეები, თვით იმ «ლურჯების»; რომელნიც წინა დღეს ცოცხლები ნახა მან. მერც ერთი კრილობას ვერ მორჩენია, ყველა მძოვრებია. ალბად განგებ დახოცეს სათვითაოდ გამარჯვებულებმა. ორი დედა-კაცი ეგლო იქიე კედელთან ერთი მეორის ახლო. მათს ოთხი ტყვია ჰქონდა გატარებული თავში. მეორე იწვა ვერ მიხდილი, თვალე მხუჭული, თითქოს უგონოდ. ზღაბაკმა გაუსინჯა მას კრილობა მხარში და გადამსხვრეული ძვალი; სხეულს სითბო კიდევ შეჰრჩენოდა. ზღაბაკმა გულზე დაადო ხელი—გული სუსტად ჰფეთქდა.

— არაეინ არის აქ ცოცხალი? შესძახა ზღაბაკმა. რაც ღონე ჰქონდა.

— შენა ხარ ბერო კაცო! ჩუროჩულით ხმა მოს.

ცა.—მართ ნანგრევიდგან გამოეშვირა ერთი თავი ადამიანისა, მეორიღგან გამოიყო მეორე. მორი გლები ბედზედ გადარჩენილიყენენ ამ ქლეთაში. ამათ გარდასწყვიტეს, გამოჩენილიყენენ ნაცნობი გლახაკის ხმაზედ. ზლახაკმა თითით ანიშნა ფეხებთან მწოლარე დელაკაცზედ.

— სოცხალია? ჰკითხა ერთმა გლებთაგანმა.

-- ზლახაკმა თავი დაუქნია.

— ის? გლებმა მიუთითა მეორეზედ.

მოხუცმა თავით ანიშნა, რომ არაო.

-- აი, მძივნვარებაც ეს არის, მოჰყვა გლებმა, ჯერ კიდევ ჩურჩულით, რადგან ხმის ამალლებას ვერ ჰბედავდა. მე სარდაფში შევეფარე... სახლი დამიწვეს... მადლობა ღმერთს, რომ უცოლშვილო ვარ! ღმერთო, მოწყალეო! რამდენი ადამიანის სული დაღუპეს!.. სულ ერთიან, ვინაც-კი მოახეღეს!.. მიკვლას, აი ამას, როლელიც დაჭრილია, სამი შვილი ჰყავდა, სამივე პატარაები. ბოეშები წიოდნენ, დედას ეძახდნენ; დედა გაჰკიოდა, შვილებს უხმობდა; დედას თოფი ჰკრეს, შვილები წაასხეს. ღმერთო ჩემო, რა ზომამდე გამხეცდება ადამიანი! მაშასადამე დედა ცოცხალია? მაგას მოვლა უნდა. შენსას წაფიყვანოთ, ბერო-კაცო, ის ჩვენ. მოხუცმა მხოლოდ თავი დაუქნია ხელმეორედ, ენა დაჰბმობდა მას. მოსტეხეს მსხვილი ტოტები, გააკეთეს ტახტრევანი, დასვეს იმაზედ

დაკრილი ქალი და წაიყვანეს. მზაში გლეხები ერთსა და იმავეზედ ლაპარაკობდნენ.

— შეელა დაჰხოცეს! შეელათერი გადასწევს!

— ჰაი, ჰაი! რა წესები შემოვიდა.

— შენ უყურე, როგორ ხერყდნენ თოფით?

— ეს თითონ იმ მაღალ-მაღალმა უბრძანა.

— მთელი გუნდი დაგვესხა. მაღალ-მაღალი-კი მათი უფროსია, მარკიზი.

— რომელი მარკიზი?

— აქაური მარკიზი, ლანტენაკი. ამბობენ ის ეა არის ინგლისიდან დაბრუნდა ხომალდითო. იმას დაწვერვა სდომებია და მან-კი ალბად სხვა-გვარად ჩაცმულმა მიატანა მისიანებში და გამოალაშქრა ისინი «ლურჯებზედ», სოფლის დაწვეც უბრძანა, რადგან ლურჯები შემოუშვეს. საოცარია! ბლენ-კაცს-სად შეუძლიან ჯარების დაკაება.

— ხედავ, რა ჩაუდენია ლანტენაკს! თუ აღზე მცოდნოდა!... სთქვა გლახაკმა თავის გულში.

## დ ე ლ ა

### III.

მიკელას იარები სახუმარი არ დარჩენ: ტყვიას გაეკაწრიაფლტყების ზემო ნაწილი. მოხუცს მკით-

ვის სახელი ჰქონდა დაეარღნილი გლეხებში. ძიდეც ამობდა. ზოგნი-კი ამბობდნენ აჯაღოებსო. დაკრი-  
ნი ქალი იმისას იწვა სოროში. ზღაბაკი იარებზედ  
ლაც ბალახებს აღებდა. დედაკაცი თან-და-თან კარ-  
დ ჰხდებოდა.—მრთხელ მან მოხუცის დახმარებით  
წზედ გამოსვლა და ხის ქვეშ ჯდომაც შეიძლო.  
ვე ათბობდა მას და ისიც დაჟინებით, გაჰყურებდა  
ორს სიერცეში.

ბერიკას უხაროდა, რომ მას ემარჯვა ფეხზედ წა-  
იყენება მისი და ღიმილით ეუბნებოდა:

— აი, ჩვენი წყლულებიც მოშუშდენ.

— შმთაერესი იარა არ გამთელლებულა, მიუგო  
უკელამ.

მას ლაპარაკი უჭირდა. ცოტა სიჩუმის შემდეგ  
აუმატა:

— შენ არ იცი სად არიან ისინი?

— მინა? ჰკითხა მოხუცმა.

— ჩემი შეილები?

წინეთაც ბოდვაში მიკელა მუდამ შეილებს უხ-  
აბდა.

ბერიკაცი ცდილობდა, ელონა რამ გულის გა-  
ასაყოლებელი, რომ ნაკლებად აღელვებულყო აჯაღ-  
ყოფი, მოეგონა რამ სანუგეშო მისთვის, მაგრამ ვერ  
აერხებდა. ბავშვებზედ მან თითონაც არაფერი იცოდა და  
ვიქრობდა, რომ ისინი ცოცხლები აღარ იქნებიანო.

რაკი დაინახა, რომ პასუხს არ აძლევენ, მიკე  
ლამ ყვირილით, თითქმის შრისხანებით, განუყოფა:

— სად არიან ჩემი შეილები?

ბერიკაცმა თავი ჩაჰკიდა; თითქოს დამნაშავემ.  
მას გაუელვა აზრმა, რომ, თუ ლანტენაკი არ გადა-  
ერჩინა, არც ეს დედაკაცი იქნებოდა ასე უბედური.

შერა ჰხედავ? ფიქრობდა ის; სიკეთის ქმნა მიწ-  
ლოდა და ბოროტება ჩაეიდინე. მე კაცი შევიბრაღე,  
მას-კი არა აქვს ეს სიბრაღეული. ბერიკაცის სული  
ნაღველმა მოიცივა კეთილის საქმის ჩადენა სტანჯავდა  
მას, ისე, როგორც დანაშაულობა. მგელი დაიხსნა  
მცხერების საუბედუროდ.

— არ შეიძლება მაგის მიტეება აგრე! წაილულ-  
ლულა მშობელმა.

— რის მიტეება?

— რომ არა ვიცოდე არა შეილებისა, უმჯობე-  
სია მე მოვკვდე, თუ მათ ამბავს ვერ გავიგებ.

— ნუ აღელდები, უთხრა ბერიკაცმა, სიცხეს  
მოიმატებ.

— როდის შევიძლებ წასელას? სასტიკად დაე-  
პკითხა მიკელამ.

— წასელას?

— რასაკვირველია წასელას. სულ აქ სომ არ  
ვიჯდომები.



— ოჲ იწუხე დიდხანს დარჩები; უკეთუ დამშვიდ-  
დები, ადრე წახვალ.

— რა ნაირად უნდა ვიყო დამშვიდებული? შენ-  
თვის ეს გაუგებარია. შენ ხომ შეილები არა გყავს,  
მე-კი შეილების პატრონი ვარ. მისაც არ გამოუცდია,  
მას არც სჯა შეუძლია. შენ არაოდეს არ გყოლია  
შეილები?

— არა, მიუგო მოხუცმა.

ჰო და, საქმეც ამაშია. მე შეილები მყავს. რა-  
ტომ არ არიან ჩემთან ეხლა ისინი? არ ვიცი რა მო-  
უვიდათ, ვერაფერი გამიგია. მშარი მომიკლეს, მე  
თოფით დამკრეს და აღარც შეილები მახლავან. ეს  
რა ამბავია ჩემს თავზედ?

— ოჲი დაანებე ლაპარაკს, მოიშლები. უთხრა  
მოხუცმა, უარესი მოგვია.

მიკელამაც ხმა გაკმინდა. დადუმდა ისე, რომ  
სიტყვასაც ვერ ათქმევინებდი. მთელი დღე უძრავად  
იჯდა ხის ქვეშ; აღბად სულ შეილებზედ ჰფიქრობდა.  
ბერიკაცი შიშობდა არ შეიშალოსო; სცაოა მისი გარ-  
თობა და ეუბნებოდა, რომ წაგყვები, მაგრამ მოე-  
ხუცდი, ფეხები შორს ვეღარ მატარებენო. მრთხელ-  
მოუტანა ძაფი, ნემსი და სათითუოი; სურდა კერვით  
გაერთო. მიკელამაც შეექცა კრვას; აჯანყდა ძველს  
საცმელს. ზღაბჯასაც ეს უნდოდა, რომ ძიველას ირთ-  
სა და იმაიგზიდ არ ითქონა მოუღამ ქირაის დაროს

მიკელა რალაც ნაღვლიანის ხმით ამღერებდა; ჩურ-ჩულით ამობდა სახელებს, ალბად შეილებისას, მაგრამ გასაგონებლად ძნელი იყო. აკვირდებოდა დარს. ბოლოს გაერთო იმით, რომ ტომარჩი შეიკერა და იმაში წაბლი მოაგროვა. როგორღაც ერთს დილას მოხუცმა შენიშნა, რომ ის ემხადება.

— სად მიხვალ? ღაეკითხა მოხუცი.

— შეილების საძებნელად, მიუგო მიკელამ.

მოხუცმაც აღარ დააკაეა. მიკელა წავიდა. მიდიოდა ის დღის და ღამის განუჩრჩეველად; სკამდა რაც მოხედებოდა, გამოითხოვდა სამოწყალოს, სკამდა ბალახს, ეძინა ტიტველს მიწაზედ, ბუჩქებში, ტრიალ მინდორზე, ხან წვიმაშიაც; მიდიოდა სოფლიდგან სოფელში, სახლიდგან, სახლში. შეეღგან კითხულობდა შეილებს. ჭკუა შემლილივით გასტერდებოდა ვისმეს კარებთან. ტანისამოსი მას ნათლეთებით ეკიდა ტანზედ. ხან მიიღებდენ, ხან გარედ აგდებდენ მას. სახლებიდგან განაძევები ის ტყე-ტყე ვიდიოდა. ბზა მისთვის უცნობი იყო. მან აქამდის მარტო თავის-სოფელი იცოდა. შთაებოლოდ მავალმა თითონაც არ იცოდა, რად გადიოდა მანძილებს, მისთვის არა საჭიროს; და ხშირად მოხვედრიო კიდეც ტრიალი მინდორი ერთსა და იმავე ადგილზედ მისდა შეუნიშნავად. ხან მიდიოდა შარა-გზით, ხან ბილიკით. მიდიოდა ჯერ დაგლეჯილი ბაშმაკებით, და როცა ბაშმა-

კები დაცეთენ, მაშინ ფეხშიშველი; ბოლოს-კი სიხლში შესერილი ფეხებით. ლაპარაკობდენ, რომ მან, ლაბლად ომი სდულდაო, მაგრამ მიკელას ამისთვის არ ეცალა; მას თითქმის არაფერი არ ესმოდა, არაფრის არ ეშინოდა, დაეძებდა მხოლოდ თავის შეილებს. მკითხებოდა ყველას, ვინც-კი შეხედებოდა:

— თქვენ არ გინახათ სამი პაწაწა ბავშვები?

მას გაოცებულნი შესცქეროდენ

— ორი ვაჟი და ერთი ქალი, არ გინახათ?—

შუროსი ოთხის წლის და ნახევრის არის, უმცროსი-კი ერთი წლის და რვა თვის. არ გინახათ განა?

მას მაინც შესტერებოდნენ და პასუხს არაეინ არ აძლევდა.

— ისინი მე მეკუთვნის, მომტაცეს და ეს არის დავეძებ, გააგრძელა მიკელამ.

ხალხი თავს აქნედა და მიდიოდა თავის გზაზედ. მრთხელ-კი შესდგა მასთან ერთი გლეხი და რალაცას იგონებდა.

— სამი ბავშვი? განმეორებით იკითხა გლეხმა.

— სამი.

— მე გავიგონე, რომ ერთ ჯარის გუნდში სამი ბავშვია. შუროსის ბრძანებით წამოასხეს საიდგანლაც. შესაძლებელია იქ იყვნენ ისინი.

— სად არის ეს? შეჰკვივლა დედამ.

— მიჰმართე ტურგში, უთხრა გლეხმა.

2 — იქ ენახავ ჩემ შვილებს?

f — შეიძლება ნახო.

i — რა უწოდებ შენ იმას?

i — ტურგი.

— რა არის ეს ტურგი?

ადგილია ასეთი.

— სოფელია?

— არ ვიცი, არ ვყოფილვარ; ტურგს უწოდებენ-კია.

ბენ-კია.

— შორს არის?

— ალბად არც ახლოა.

— რომელ მხარეზეა?

— აი იქით დაიკავე გზა, საითკენაც მზე ჩადის, ხელით ანიშნა გლებმა.

ღედა იმ წამსვე გაქანდა.

— ზაფროთხილდი კი, იქ იბრძვიან.

შუკან მოუხედავად ეშურებოდა საბრალო ღედა-კაცი, საითკენაც გზა აჩვენეს მას:

## მოლაპარაკება.

### IV.

მს ტურგი სიმაგრე იყო. მას ჰქონდა მგრგვალ კომუნიის სახე და წარმოდგემული იყო სალს კლდეზედ,

თითონაც კლდესავით მაგარი. ლანტენაკი თავის ჯარით, ჩაესაფრა იმაში, ზოგენის ჯარებს-კი ალყა შემოეგრტყა იმისთვის. ლანტენაკს კაცი ცოტა დარჩენოდა. მიტომ, რომ სოფლის აოხრების შემდეგ, მოუხდა კიდევ რამოდენიმე ბრძოლა.—ზოგენი გაცილებით ძლიერი იყო, მით უმეტეს, რომ მას ზურგს უმაგრებდა მთელი პოლკი სიმურდენისა. მრთხელ, სადამოთი, როცა ვარსკლავებმა იჩინეს თავი ცაზედ და ტყეში სრული სიჩუმე ჩამოვარდა,—არც ერთი ფოთოლი, არც ერთი ბალახი არ ინძრეოდა, კოშკიდგან გაისმა გაგრძელებული ხმა სამხედრო ნაღარისა. მენაღარის საპახუხოდ ქვევით ბანაკში დაუკრა მესაყვირემ. როგორც ჭიანჭველები თავიანთ ბუდეში, ისე ირეოდა ხალხი ბანაკში. ბახშირებულს სიბნელებში ვარსკლავებთან ერთად აენიენ ცეცხლით ზეშის გროვები. ნაღარა მეორედ დაჰკრეს, ბანაკმაც პასუხი მისცა. ამ გეარად მოლაპარაკება ჰხდებოდა სიმაგრისა და ბანაკს შორის.

— თანახმა ხართ, რომ მოგვისმინოთ ჩვენ? ეკითხებოდნენ სიმაგრედგან.

— თანახმა ვართ, უპასუხებდა ბანაკი.

რამდენიმე წამით ზაფი ჩამოვარდა.

მენაღარემ ხმა მალლა და გარკვევით დაიწყო თავის სიტყვა კოშკიდგან.

— შური მიგდეთ, მე ელაპარაკობ მარკიზ ლან-

ქენაკის სახელით, ვიმეორებ მის სიტყვებს. თქვენი ომი ჩვენთა უკანონოა. ჩვენ ვცხოვრებდით აქ მშვიდობიანად და ავს არაეის არ ვუშვრებოდით: თქვენ რაღაც ახალი წესები შემოიღეთ და ძალა მოიტანეთ ჩვენზედ, რათა ძალ-მეომრობით გვაცხოვროთ თქვენს ნებაზედ. თქვენ დაუწყეთ წვა ჩვენს სახლებს, ქლექა ჩვენს ცოლსა და შვილს. თქვენ დაგვიგეთ ტყეში მახე და ეხლა აქაც შემოგვესიეთ. თქვენ პერნი ხართ, ჩვენ-კი კოტანი. თქვენ მთელს პოლკს შეადგენთ, ჩვენ-კი მხოლოდ ცხრამეტი კაცი ვართ აქ. საკვირველი არ არის, რომ თქვენ გეძლიოთ, მაგრამ იცოდეთ უსისხლოდ არ დაგნებდებით. მარკიზის ბრძანებით გიცხადებთ თქვენ: ჩვენთან აქ სამი ბავშია. — ჩვენებმა იხელეს ისინი იმ სოფელში, სადაც ჩვენ თქვენი პოლკი დავამარცხეთ. გნებაეთ, მოგვეცეთ ჩვენ ცხრამეტივეს თავისუფალი გზა იმ შემთხვევაში ბავშვებს გაძლეთ თავის გამოსახსნელად; უკედუ უარს გვიყოფთ, სიმაგრეს დავანგრეეთ და ბავშვებიც დაილუბებიან ჩვენთან ერთად. მათს დალუბვაში ბრალი თქვენ სულს ერგება. უკეთუ გავიშვებთ, ბავშვებიც გადარჩებიან, თუ დაეიხოცებით, ისინიც დაიხოცებიან. მადასკერით.

შესწყდა ხმა კოშკიდგან. ბანაკიდგან შესძახეს.

— შეელას გიშვებთ დაუბრკოლებრივ, ლანტუნაკის გარდა. სიკედლილი იმას!

-- პირობას არა ეცლით, უპასუხეს კოშკიდგან. სამს ყმაწვილს გაძლევთ სასყიდლად ჩვენ ყველში უკანასკნელამდე.

— ჩვენ თანხმა არა ვართ, შესძახა თითონ სიმურდენმა მოკლედ და სასტიკად.

— მკცდა-ოთხს საათს გაძლევთ ვადას. მოიფიქრეთ, დაუმატა ზოგენმა მორბილებით.

## მლაპრაღ გამოსული დაღა.

ყ.

მლახაკისგან მორჩენილი ქალი მიეშურებოდა იქით, სითყენაც გზა აჩვენეს. მართელ მან გაირა ერთს სოფელზედ ხალხის ბრბოს ახლო, რომელიც კედელზედ გაკრულის განცხადების წინ შეკრებული იყო. მართი კითხულობდა, სხეები ყურს უგდებდენ.

«სიკედლით დაისჯება» ყველა, ვინც გაბედაეს და სურსათს ან სხვა რაიმე შემწეობას მიაწვდის ტურგში შეფარებულთ, ზემოთ დაწახელებულთ ცხრამეტ მემამბოხეთ.

— ტურგში? გამოიკითხა მიკელამ.

მან ყური მოჰხკრა ამ სახელს და დანარჩენ სიტყვებთან მას საქმე არ ჰქონდა. მიკელას იქვის თვალთ შეხედეს.

— ტურგში? განმეორებით იკითხა მან.

— მაჩუმი! წასჩურჩულა მას ვილაღდედაკაცმა, რომელსაც ქვავის ლაქაშები კალთაში ეწყო.

მიეღლა დაღუმდა, და არ გაეგებოდა-კი, თუ რად არის აგრე საჭირო. ტურგი დაასახელეს. ნუ თუ შესაძლებელი არ არის იკითხოს? ის გადავიდა მეორე ადგილზედ და შედგა, რომ ყური დაუგდოს. იმავე ქალაღზედ იყო ლაპარაკი.

— ჰგონიათ, რა-კი იმათ შეიპყრობენ, ყველაფერს ბოლო მოეცა. მითქვას მარტო ცხრაშეტი კაცი იყოს მათ წინააღმდეგ! ამბობდა ერთი.

— შესცდებიან ანგარიშში; როცა იმათ შეიპყრობენ სხვები გამოჩნდებიან, დაუმატა მეორემ.

— ბრიყვები ხართ თქვენ! სთქვა ერთმა ქალა-რა მორეულმა გლეხმა. ადრე დაებადებათ მეორე ლანტენაკი? თაფი და თაფი საქმე იმათთვის ლანტენაკის შეპყრობა და ის-კი ეხლა ხელში ჰყავთ.

— მთლად კიდევ ვერა! წაიდუღუნა ერთმა ახალგაზდა გლეხმა.

— ლანტენაკი სულს უდგამს ყველას. უმაგისოთ სხვები ჩასათვლელიც არ არიან.

— რით არის შესანიშნაფი ლანტენაკი? იკითხა ვილაკამ.

— მრიდეთ, ის დაუნდობელია. ძალებს, ამ სუსტ ქმნილებათაც-კი თოფით ახერეტიწებს, უპახეს მას.



— ეს მართალია, წამოიძახა მიკელამ, ჩემი დახე-  
რეტა უბრძანა მან თოფით.

ამ სიტყვებზედ მიუბრუნდენ მას. ის საოცარი  
სანახავი იყო, — მხრებზედ ძონძი ეკილა, თმა გაწეწილი  
ჰქონდა, ეელური შეხედულობა.

— სხადი ავაზაკია, წაიბუტბუტა ერთმა გლეხ-  
თაგანმა.

— დასაზვერავად ხომ არ მოსულა? განიზრახა  
მეორემ.

— ზაჰმიდე ხმა და გაეცალე <sup>სულ</sup>! მიუახლოვ-  
და და წასჩურჩულა მას ლაფაშით მოვაჭრე ქალმა.

— მე სულს არას ეშვრები; ჩემს შეილებს დაე-  
ძებ, მიუჯო მიკელამ.

მაჰარმა ქალმა თვალეზი შემოავლო იქ მდგომს  
ნალხს. მიიღო შუბლზედ თითი და ჩაილაპარაკა: აქ  
რალაც სული ამბავია. შემდეგ მიკელას მიაწოდა  
ლაფაში, — სჰამე!

მიკელამ ჩამოართვა, მადლობაც არ უთქვამს  
და ხარბად დაუწყო გლეჯა.

— ეს თავის ჰკუაზედ არ არის, გადასწყეიტეს  
გლეხებმა, — რა ნაირად იგლიჯება?

მართი მეორეზედ დაიშალნენ ისინი, მხოლოდ  
ერთი ის მოვაჭრე ქალი დარჩა მასთან. როცა ჰამას  
მორჩა მიკელა მაუბრუნდა იმას. — შენ შევიძლია  
მითხრა, თუ საით არის ტურგი?

— თაეი გაანებე მაგას, შე ბედ-კრულო, გეყოფა როშეა.

— მე ტურგში მინდა მივიდე. ბეკითხები, თუ რა ნაირად მივალწევ იქამდის?

მართლა და რას ჩასციებიხარ მაგ ტურგს? შენ იქ არაფერი საქმე არა გაქვს... უმჯობესია ჩემთან შემოუხვიე, დაისვენე, დაღალული ხარ ალბად.

— მე მოსვენებას დრო არა მაქვს, მიგო დედამ.

— დაიხედე მთონს ფეხებზე, რა მოგესვლია, მიუთითა ეაქარმა ქალმა.

მიკელა მოუყვა თავის ამბავს.

მე შეიღებები მომპარეს, ქალი და ორი ვაჟი. მხლა მე ტყიდგან მოვდივარ. მართმა ბერიკაცმა მიწამლა, გლახაკმა. შეგიძლია იმასაც გამოჰკითხო. მე რალაც ძვალი გამიხვრიტეს ტყვიით. მს ყველაფერი მართლა აგრე იყო; მე არ ვიგონებ. სამის შეილის პატრონი ვარ; მაგის დამტყიცებაც შემიძლია. შმცროსი ქალია—შორეცა. ჩემი ქმარი მოჰკლეს; მას არაფერი ცუდი არ ჩაუდენია. მაჩვენე გზა; ჰკუთიდგან შეშლილი არა ვარ მე; დედა ვარ შეილებს დავეძებ. აი ეს არის სულ. მივდივარ ტურგში გზაკი არ ვიცი. წუხანდელი ღამე ცალიერს ბედელში გავათენე. მე ქურდი არ გეგონო; ყველაფერს სისწორით გელაპარაკები, რატომ არ უნდა დამეხმარო, როცა

— შეილებს დავეძებ! მე აქაური არა ვარ; თოფი მკრეს და არც ვიცი რისთვის.

— შური დამიგდევ საყვარელო! თავის ქნევით უთხრა ვაქარმა დედაკაცმა. მხლა არეულობა არის, არ უნდა ლაპარაკობდე ასეთ სისულელეს. იფირებენ, მითომ თვალთ-მაქცობდე და მხვერაობდე. შეგიპყრობენ.

— მე ტურგზე მითხარი მხოლოდ რამე; როგორ მივალწევ იქამდის? ზეკითხები მკრულს გულისთვის.

ლაფაშის მექონე დედაკაცი გაანჩხლდა.

— შენ კაცი ვერაფერს შეგასმენს. არ ვიცი მე სად არის ტურგი; ვიცი და არ გეტყვი მაინც.

— მე მაინც მივდივარ, სთქვა მიკელამ და გასწია.

ბებერმა მას თვალი გააყოლა და წაიბუტბუტა თავისთვის: საგზალი მაინც მიეცი.. დაეწია და მეორე ლაფაშიც გადასცა. ივანშმებ მერე.

მიკელამ უხვოდ ჩამოართვა; მაგრამ გაიარა თუ არა ცოტა, უთაფაზა ლაფაში ორს გასათხოვარ ქალებს, რომელნიც სოფლის ბოლოს შემოფეფეთნენ. წინ ტყე იყო. ისიც ტყით წაეიდა. სულ ერთი არ არის სადაც გაივლი, როცა არაფის უნდა გასწაელოს. ღიდ ხანს იარა; ვიდოდა ჯერ ბილიკით, შემდეგ ბილიკიც დაჰკარგა. მართი მეორეზედ გადაბმული და გადაქსაქსული ტოტები ელობებოდნენ მას, მაგრამ

მიიწეოდა წინ. სად? კიდევ კარგი, თუ იქით მიდის, საითაც საჭიროა. სინჯა დაძახება, მაგრამ არაფერი არ გამოეხმაურა. ნახა რუ, ჩაიჩოქა და დაეწაფა; შემდეგ დაჩოქილმა ლმერთს შეევედრა.

ტყე მალე გათავდა. მას მოსდევდა ვიწრო ჭალაკი და ქვემოლ ჯაგებით შემოსილი ფართო და ვაკე კვერნაკის ფერდო. თვალი თავისუფლად სწვდებოდა ვეება სიერცეს და მთელს ამ სიერცეზე არ ჩნდა არც კაცი, არც ცხენი, არც ცხოველები. ამ გვარმა სიერანემ ბედკურული დედა სასოწარკვეთილებას მისცა. მუხლები ეკვეცებოდა. მან ჭკუა შეშლილსავეით დაიკივლა, არც-კი იცოდა ვისკენ და საითკენ იყო მიმართული ეს ზახილი.

— არაფერი არის?

თითქოს მის საპასუხოდ წინ სადღაც მახლობლად გაისმა ქუხილის მსგავსი ხმა. ეს ჭეჭა კი არა თოფის ხმა იყო. ბედკურული დედა შეკრთა, მოცოცხლდა. შეიძლება იქ არის? სთქვა თავის გულში. ის შეუღვა სერს. რამდენიმე ხნის შემდეგ მან თვალი მოჰკრა ტიტველს კლდეზე კოშკს, იქვე კოშკის უკინ ხშირა და ამწვანებულს მტევრს.

მიკვლა გაექანა კოშკისაკენ. საღამო ჩამოწილას აპირებდა. ეს იყო სწორედ ერთი დღის შემდეგ ლანტენაკის მოლაპარაკებისა მტრებთან.

# ი ე რ ი უ ი

## VI.

ღანიშნულ საათზედ ბოვენმა გააქანა თავისი ჯარი, რომ იერიშით აეღო ტურგი. ძედლების ქვედა ნაწილი ძლიერ დაზიანდა სროლისაგან. ჭარის კაცთა გროვა ჩაესაფრა მეორე სართულში და აქედგან თავგანწირვითი სროლით იფარაედა თავს. ძაცი კაცზედ ეცემოდა. მაშინ აფიცრის ზელქვევითმა რადუბმა მოაგეარა ერთობ ძნელი საქმე; ორი დამბაჩით წელში, მან კატის სიმარდით შეპორტყდა გარედგან კედელზედ მესამე სართულამდის. ამაში ის ნაქები იყო. რადუბი შეიქრა იმ ოთახში, სადაც იარალის საწყობი იყო. მთვარიანის ღამის მკრთალმა ნათელმა უშველა მას საჭურველის და დამბაჩების გარჩევაში. აქამდის ციხეში შემწყედეულებს ქვემოდგან აწყდებოდენ, ეხლა ზეიდგან მესამე სართულის აივანიდგან კიბეზედ დაშვებით წამოვიდა ტყვია. ორი კაცი უცებ დაეცა უსულოდ. დანარჩენი ეშურებოდნენ უმახლობეკლეს ოთახში შესაფარაეად. არაეის ფიქრად არ მოსელია, რომ იქ მალლა მხოლოდ ერთი კაცია.

— მხლა ჩვენ სიკედილი-ლა დაგერჩენია, სთქვა მარკიზმა.

— სხვების ქლევით, სანამ ძალ-ღონეს ვკრძნობდეთ! დაუმატა ერთმა ამხანაგთაგანმა.

მაგრამ იმავ წამში თავი იჩინა ახალმა მოულოდნელმა გარემოებამ: ოთახის კუთხეში აიხალა ფილქანი და იქილგან ჯერ კიდევ შეუმჩნეველს დაფარულ კარში თავი შემოჰყო კაცმა. ეს შარკიზის ერთი ერთგულთაგანი იყო.

— რა ნაირად მოალწიე შენ აქ? ჰკითხა ლანტენაკმა.

— ლაპარაკის დრო არ არის; თავს უშეველეთ. ათი წამის განმავლობაში თქვენ ამ საველით ტყეში ამოჰყოფთ თავს.

— ძლიერ კარგი!.. წაოთ ყველამ. მე უკანასკნელი გამოვალ, სთქვა შარკიზმა.

— ჯერ თავის სიტყვა შევასრულოთ, ცეცხლს უნდა მოუკიდოთ, რომ მოგვიგონონ, შენიშნა ერთმა.

— მალე, შარკიზ, აჩქარებდენ სხვები.

ბატი კაცზე ჩამოდიოდა ვიწრო დაკლაკნილის კიბით. ლანტენაკმა ნახშირით დასწერა თეთრს კლდეზედ მსხვილის ასოებით რამდენიმე სიტყვა და მოუკიდა პატრუქს. ცეცხლი სისწრაფით მისდევდა ფისს.

შარეშემო მცველებს ამ დროს გაუგებრობა სტანჯავდა. ზოგენს არ შეუნიშნავს რადუბის ასელაზემოთ და მოულოდნელმა დახმარებამ იქილგან გააოცა ის. მას სწადდა ამის გამოკვლევა, რისგამო ცო-

ტა ხნობით, შეაჩერა თავდასხმა. შემდეგ უბრძანა თავის ჯარის კაცთ, წინ წაწეულიყვნენ კიბეზედ, მაგრამ სახეში ჰქონდათ, რომ სადმე ერთ-ერთი კარების უკან ჩასაფრებულნი არ იყვნენ; ხელმეორედ ატყდებოდა სროლა და ფეხებიდგან მოწყვეტილი კაცები ძირს ჩამოცვივათ. ჩადუბიჯ თავის მხრით რჩებოდა ზევით და ვერ მიხვედრილიყო, თუ რად მიწყნარდა ყველაფერი და უცდიდა, თუ როდის შეიქნება საქირო მისი დახმარება. მეოთხედი საათი გაეიდა, სანამ საქმის მდგომარეობა გამოირკვეოდა. ჯარის კაცთა თოფის კონდახით დაფრიწეს კარები, რომელთ უკან «თეთრები» მიიფარნენ; იქ ცალიერს ოთახში ნახეს გახსნილი საიდუმლო სავალი. ბოვენმა წაიკითხა ნახშირით წარწერილი სიტყვები: «მშვიდობით დისწულო!» ხელმოწერილია: «ლანტენაკი».

უკან დადევნებას არაფერი აზრი არ ჰქონდა სხადი იყო, რომ ეს საელელო ტყეში მიიყვანდა. ზადავარდნილი კაცის ძებნა ტყეში ისეთივე სიბრძნე იყო, როგორც ნემსის ძებნა. მასთან ბოვენი და სიმურდენი ყველაზედ უფრო საქიროდ ლანტენაკის შეპყრობას რაცხდნენ და როგორ უნდა გაეგოთ ამათ იმის წასვლის დრო? ისინი ფიქრობდნენ, რომ ლანტენაკის კვალი აღარ იქნებაო, მაშასადამე, ისინი სომავრის აღებით ვერაფერს გახდნენ. ლანტენაკი არც ისე შორს იყო, როგორც ისინი ფიქრობდნენ: რაკი

ტყეში მიატანა, მან დაითხოვა თავის კაცები და შეიპირა, თუ როდის, ან სად შეკრებილიყვნენ. ტყეში გაფანტვა, სათითაოდ გადარჩენა, არაფერს სიძნელეს წარმოუდგენდა. მარკიზი შეჩერდა. მან თავისუფლების სიამოვნება იგრძნო. რამდენიმე წუთით წინ ის სიკვდილს ეგებებოდა; რა საკვირველია არ ეშინოდა მისი, მაგრამ ცოცხლად დარჩენას მაინც რჩებოდა. საათს დახედა. ათი საათი იყო; ამან გააოცა ის. მხოლოდ ათი რვაზე პირველი თოფი გაეარდა; აუ თუ ამის შემდეგ ისე ცოტა დრო გავიდა! ას ოცი წამი! რამდენი შთაბეჭდილება მიუღია!.. მან შეინახა საათი და წასასვლელად მიბრუნდა. არე-მარე წითლის ფერად შეეფერა ცეცხლის შუქს; სიმაგრე იწოდა. ცეცხლი ბლომად პოულობდა საზრდოს; პატრუქები აღრევე იყო გაყვანილი ასაფეთქ ნივთიერებასთან, თისიან ბოჭკებთან და ვეება ჩალის და თივის ზვინებთან. ლანტენაკს მოაგონდა უმწეოდ დაგდებული მეორე სართულში პატარა ბავშვები, რომელნიც წიგნის საწყობ ოთახში იყვნენ ჩაკეტილნი. სამ ოთახის მძიმე რკინის კარების გასაღები მას ედო ჯიბეში. მან კმაყოფილებით გაისინჯა ის. ბავშვები დაიბუგებიან და ძალიან კარგიც იქნება! მან ხომ უჩრია მათი განთავისუფლება. მინც არ დაეთანხმა, ბრალიც მისია. იცოდენ, რომ ლანტენაკი თავის სიტყვას არ უღალატებს; სთქვა: ბავშვები დაიხრუკებიანო და კი-



სამი უმანკო სული უნდა იმსხვერპლოს ცეცხლმა; ის კი თავისუფალია!

შეკრად გაისმა უიმედო და შესაბრალოსი ყვირილი, — უფრო ნამდვილად ღრიალი. ეს მშობლის მოთქმა იყო. ბულის გასაგმირად გაერცელდა ჰაერში ეს ხმა.

მიკელა მივიდა კოშკთან, ავიდა იმის პირდაპირ ყორღზედ სწორედ იმ ღროს, როცა ცეცხლის ენები გაცოცდენ სუროს ხმელ ტოტებზე, ქვემო სართულიდამ ზედაზედ, შეერთდნენ მოკაშკაშე ალად და ერთბაშად გაანათეს ყველაფერი: მახლობელი ხშირი ტყის წვერები, კოშკის წინ ბანაკი და თვით კოშკის შიგნითა ნაწილები. შუა სართულის ერთ-ერთ ფანჯრიდგან გამოჩნდა სამი პატარა ბავშვის თავები. იმედ მიხდილმა მიკელამ შეჰბლაეღა. ლანტუნაკს მოესმა ეს და შედგა. ის თუმცა ქალს არ ხედავდა, მაგრამ ლახვარივით ესობოდა მის გუჟს მშობლის მწარე მოთქმა: მიშველეთ! დაიხსენით! ისინი შეიღებია ჩემი! იწვიან! მიშველეთ ადამიანებო! ეს აგრე არ იქნება! რა უნდა იმ ცეცხლში ჩემს შვილებს. არ შეიძლება ეს. იქნება ჭკუაზედ ეიშლები? მიშველეთ! მე მშობელი ვარ მათი. ღლე და-ღამ მოვდიოდი!.. იწვიან ისინი. დაიხსენით! ძაღლსაც შეიბრალებს კაცი, თორემ ესენი ხომ ადამიანები არიან — შეიღებია ჩემი; მე დავეძებდი იმათ. ღმერთო ჩემო! მე დამკრეს,

ფეხებში სისხლი გამდის, ძლიეს მოვალწიე აქამდის,  
როგორც იყო ენახე და ეხლა ჩემის თვალის წინ  
იწვიან. მიშველეთ! რად მომტაცეს ისინი ამ ავაზა-  
კებმა, მხეცებმა! მე არა მსურს, რომ ისინი ცეცხლში  
იხრაკებოდნენ! არა მსურს, არა! ღაიხსენით! ან და  
მეც მომისპეთ მათთან ერთად სიცოცხლე, რომ არ  
დავინახო მათი წვალება.

იმ დროს, როცა ამ უცნაურს შიშისაგან დედა  
თითქმის ჭკუიდან ირეოდა, რამდენიმე სალდათი ყო-  
რებზედ ასულიყვნენ და თხრილში ჩასაფრულ სალდა-  
თებს ჩასძახოდნენ.

- ძიბე მიაყუდეთ!
- ძიბე არ არის.
- უნდა იყოს!
- უნდა იყოს, მაგრამ არ არის.
- აბა წყალი აქ!
- არც წყალი არის.
- მაშ კარიდან უნდა შევიდეთ!
- ძარი ხომ რკინის არის.
- უნდა შევამტერიოთ!
- მაგარია, ვერ შევამტერეთ.

აღელვებული ქალი განუწყვეტლივ გაჰკიოდა, —  
მიშველეთ საჩქაროდ! იწვიან ისინი! ოჰ, საყვარელო  
შვილებო! ნუ თუ არავინ არის თქვენი მხსნელი!  
ოჰ, ჩამქოლეთ! ჩამქოლეთ! მეც ცეცხლში ჩამაგ-  
დეთ!

მარკიზმა ხელახლად მოიელო ჯიბეზედ ხელი, რომელშიაც გასაღები ეგულებოდა, მსწრაფლ დაიღუნა და გაჰქრა იმ საიდუმლო გასაღალში, რომლიდგანაც, ის იყო, ამოვიდა.



## ღ ვ ა წ ლ ი

### VII.

ზოვენის განკარგულებით ოც კაცამდე მუშა ებეოდნენ კარს გასატეხად; ბევრს ეცადნენ; რკინის პალოებიც გადაუყენეს, მაგრამ ისინი ჩხირსაეიზი იმტერეოდნენ, ერთი სიტყვით ყოველივე ცდა და მეცადინეობა ამაო დარჩა.

ზოვენის აზრით უზარბაზნოთ კარის შემტერევა შეუძლებელი იყო, მაგრამ იმედ გაცრუებული მუშები ამასაც საეჭვოდ სთელიდნენ.

მასჭირდა საქმე. შეელამ ხელი აიღო. იმედი დაჰკარგეს და გასტერეული იდგნენ და ერთმანერთს შეჰყურებდნენ. მეტი ღონე არ იყო, უნდა დასთხოვოდნენ. ვაძლიერებულს ცეცხლს ღუილი გაჰქონდა. ზემე და ქვემო სართულს ერთბაშად ცეცხლი მოსდებოდა და ქერის და იატაკის ჩაქცევას ჰლამოდა. შოველივე იმედი ყმაწვილების შევლისა დაკარგული იყო.

9        შცაბედათ დაიწახა ზოგენმა საიდუმლო გასა-  
ღლის კარი ღია და სთქვა:

      — ლანტენაკმა დალუბა ისინი! თითონ კი თავს  
უშველა და წავიდა.

      — აი უკანვე დაბრუნებულა, წამოიძახა ეილა-  
ცამ.

      ძმისწულმა დაინახა ჭალარა თავი თავის ბიძისა.

      მუშებზეა გაიფანტნენ, მარკიზს ხელში გასაღები  
ეჭირა, განვლო ოთახი და პირ-და-პირ რკინის კარს  
მიადგა, — კლიტემ დაიწკრიალა, კარმა ჭრიალი მოიღო  
და მისგან უეცრივ გამოიკლაქნა ვეებერთელა ტალღა  
გაზვიადებულის ცეცხლისა და კომლის. მიკელა  
მედგრალ შევარდა შიგ და თვალს მოეთარა. თითქმის  
ამავე წამში ჩინკრა ერთი ნაწილი იატაკისა. არა  
ვინ იცოდა, თუ რა მოუვიდა მიკელას, მხოლოდ  
გოგენი თავის კაცებით ძლიეს-ლა გადარჩა და მათგან  
ყოველივე შეელის იმედიც დაიკარგა.

      იმედ მიხდილი დედა შესაბრალისად გმინავდა.  
შმაწილები იდგნენ ფანჯარასთან, რომელსაც ჯერ  
კიდევ ცეცხლი არ მოსდებოდა და არავითარ შიშსა  
და განსაცდელს არა ჰკრძნობდნენ. ისინი ყურს  
უგდებდნენ ხალხის ჩოჩქოლს და ცნობის მოყვარეო-  
ბათ გასცქეროდნენ ცეცხლით გაბჟლიალებულს ოთახ-  
ში. ამ დროს დედა გაჰკიოდა და თვითეულად ასა-  
ხილებდა თავის შვილებს. მრთმა უფროსთაგანმა იცნო

დედის ხმა და დაიყვირა: დედილო! მამა დანარჩენებმაც განიმეორეს: დედილო! დედილო!

ძიკლა ყორღგან ჩამოსულიყო, სალდათებში ჩამდგარიყო და საშველად იწვევდა მათ; მაგრამ სიმურდენს შიგნიდან არაფერი შევლა შეეძლო. რადუბმა ხელახლად სცადა კედელზედ ასელა, მაგრამ, რადგანაც კედელზედ ხელის მოსაკიდი და ფეხის დასადგამი ვერაფერი იშოვნა, ბრავგანი მოსდო მიწაზედ. დედა მივარდა და მუხლ-მოდრეკით ყველას ხსნას ევედრებოდა, მაგრამ რას იქმოდენ? ძოშკში ყველაფერი სქდებოდა და იქცეოდა. იმ ოთახში, სადაც ბავშვები იმყოფებოდნენ წიგნებით საესე ვეება შკაფები აენტენ, როგორც შენა ზუხარში. წერილი ხვები ზარდამცემის შიშით იმეორებდნენ: დედილო! დედილო!

შეცრად ბავშვების მახლობელს ფანჯარასთან გამოჩნდა სრული ტანის კაცი. შველამ იმას მიაპყრა თვალები. რამდენიმე კაცმა გამოიძნო იმაში მარკიზ ლანტენაკი. ის თვალის დახამხამებაში გაპქრა, შემდეგ ისევ გამოჩნდა და ჩამოუშვა ფანჯრიდგან გრძელი დასაკეცი კიბე, რომელიც ამ ოთახში ინახებოდა უბედურ შემთხვევისათვის. სალდათებმა სტაცეს ხელი მეორ თაეში და მიწაზედ დადგმევინეს. შველაზედ წინ რადუბი და მასუკან რამდენიმე ათი ჯარის კაცი შეიჭრენ კიბეზედ. მარკიზმა სტაცა ხელი ბავშვს,

რომელიც პირველად მოხვდა და გარდასცა რადუბს. მს  
შუათანა ვაჟი იყო. ის ყვიროდა, რაც ძალი და ღონე  
ჰქონდა: მეშინიან, მეშინიანო! სალდათები ხელიდგან  
ხელში გარდასცემდენ მას ერთი მეორეს და ჩამოუ-  
შვეს ძირს. შფროსი კიდეე უფრო შიშობდა და არ  
ნებდებოდა; მან კიდეე დაარტყა ხელი რადუბს, რომ-  
მელსაც მარკიზმა გარდასცა ის. ღარჩა კიდეე პაწაწი-  
ნა ჰორეჟტა. ის ჩვეულებრივის ღიმილით გაღიშალა,  
როცა მარკიზმა ხელი სტაცა ასაყვანად. ამ რკინის  
კაცს ცრემლები მოგროია და ჰკითხა მას: რა გქვიან  
შენ?

— შორეჟტა, მიუგო ჩვილმა.

მარკიზმა გაჰკოცნა ის და გარდასცა რადუბს.

ღელა იღვა კიბის ძარში და არ სჯეროდა თავისი  
ბედნიერება. წინეთ ის ჯაგრისაგან ხელდებოდა, ებლა  
კი სიხარულმა გაიტაც. ჩაიკრა გულში ბავშვები,  
ჰკოცნიდა, თან სტიროდა და ხარხარებდა; ბოლოს  
კი უგრძობლად დაეცა.

სულ ყველა გადაარჩაო, გაისმა ხმა.

შველა, ლანტენაკის გარდა, მაგრამ იმაზედ არა-  
ეინ ზრუნავდა. ის დაფიქრებული შედგა ფანჯარას-  
თან, თითქოს ვერ გადაუჭრიაო, როგორ მოიქცეს,  
შემდეგ აუჩქარებლად გადმოაბიჯა ფანჯრის თახჩას  
და ჩამოეშვა კიბეზედ მედიდური და სრულიად დამშვი-

დებული. სალდათები გაოცებით შეცქეროდნენ მას, თითქოს მოჩვენებააო.

როცა ის ძირს ჩამოვიდა, მივიდა მასთან სიმურდენი, დაადო მხარხედ ხელი და უთხრა: შენ ეხლა დატყვევებული ხარ.

— შიცი, მიუგო ლანტენაკმა.

სალდათებმა ლანტენაკი წაიყვანეს. სალდაც ეკლესიის საათზედ თერთმეტად დაჰკრა.

---

## ს ი ნ ი ღ ი ს ი .

### YIII.

— ხეალ ჩვენ გავასამართლებთ იმას სამხედრო წესით, უთხრა სიმურდენმა ზოვენს; მაგრამ შენ ნუ მიიღებ მონაწილეობას; შენ და ის ერთი სისხლისა ხართ; სიკვდილით დასჯა მისი შენ არ შეგფერის. სჯას დიდხანს არ მოეუნდებით; ხეალ განჩინებას დავადგენთ, ზეგ კი ვაწამებთ. მხლა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამბოხება დავაცხრეთ.

ზოვენმა არა უპასუხა არა არაეის და წავიდა თავის კარავში. სეცხლზედ ზრუნვასაც თავი მიანება. მარტომ უშა სალდათები გარეშემო თხრილის შემოთხრით

ცდილობდენ მის ჩაქრობას. ცეცხლიც უთმობდა ამათ. რაღუბი ბავშვებს და მის მშობლებს ულოლოვებდა; სიმურდენი, ზოგიერთ განკარგულებას ახდენდა სახელით. ბანაკი სდუმდებოდა, ისეგნებდა აღრინდელი მღელვარებისგან. ზოვენი დიდ საგონებელში ჩაეარდა. ათას გვარი ფიქრები ფუსფუსებდენ იმის თავში. მის წინ თავი იჩინა მოულოდნელმა შეშთხვევამ და მან არ იცოდა, თუ როგორ მოჰქცეოდა ამას. აქამდის მას სარყევად არაფერი ჰქონებია; ის ხედავდა ორის მოპირდაპირე მხრის ბრძოლას: ერთ მხარეზედ იღვა მისი მოყვრები, მეორეზედ—მტრები. ზოვენის აზრით მისი მხარე უბრალო იყო, მოპირდაპირენი კი მტყუანი. მოყვრებისთვის ის ისურვებდა სიკეთეს, მტრებისთვის სიავეს. ამაზედ ცხადი რალა იქნებოდა. მართი უმთავრესი მტერი მისი მხრის ეხლა ხელში ჩაუვარდა. ეს უნდა გაჰხარებოდა მას, მაგრამ არ უხაროდა-კი. რისთვის?—მისთვის რომ ამ მტერმა განცეიფრებაში მოიყვანა ის თავის მოქმედებით.

სამი პატარა ბავშვები იღუპებოდენ; სამი უმანკო უბრალო სული. ომი ამ გვარებს არ არჩევს. ულმო-ბელი, სისხლის მსმელი, ძმის მკვლელი, ამ გვარებს არ არჩევს, რაც კი უხედება მას გზაზედ. მას ბავშვები შეეფეთნენ გზაზე და ამათი შემუსვრა არაფრად მიაჩნია მას. მარკიზის წინააღმდეგ მთელი ბრბო იღვა



ხალხისა. ეს ბრბო ეძებდა მას, თითქოს მხეცს. ძეგლს მიაგნო და მახეც დაუგო; მან თითქმის სასწაულით დაახწია თავი ამ მახეს, ტყემლის მიატანა. ტყეში კი სრული თავისუფალი გახდა. ლომი წავიდა მახიდგან. წავიდა და უეცრად თითონ თავის ნებით დაბრუნდა. პირ და-პირ ჩაუვარდა მტრებს ხელში. მარტო იმისთვის, რომ დაიხსნას სამი უდანაშაულო მსხვერპლი, სამი ბავშვი; თავის ღვიძლი კი არა, სრულგვით უცხონი — გლახაკნი. მან შეიბრალა ისინი. მან დააგდო ტყეც, თავისუფლებაც, შეიქრა ცეცხლში, დაიხსნა ისინი და სამაგიეროდ დალუბა თავის თავი; თავისი საკუთარი სიცოცხლეც გასცა იმათ სიცოცხლეში. მხლა კი ჯილდოთ მას სიკვდილი ელის. სამართალია ეს? ძანონიერია, რომ კაცი დაისაჯოს ამ სიდიდე კეთილი საქმისთვის?

როგორც წინეთ, ლანტენაკმა ვერ გაუძლო იმ ფიქრს, რომ ბავშვები დაილუბებიანო, როცა ისინი სრულიად უბრალონი არიან და როცა მათი გადარჩენა კი მის — ლანტენაკის ხელთ არის, ისე ეხლა გოგენისათვის აუტანელი დარჩა ის აზრი, რომ ლანტენაკი სიკვდილით უნდა დაისაჯოს სწორედ იმ დროს, როცა ის თავყვანის ცემის ღირსია. გადაეარჩინო ის? გადაეარჩინო მტერი? — ძი, მაგრამ ამბოხება ხომ ბოლო მოუღებელი დარჩა.

ზოგენმა ერთხელ კიდევ მოიგონა ყველაფერი

ისე, როგორც იყო. სამი ბაემეი იღუპებოდნენ. მისი გულისათვის?—იმავ ლანტენაკის გამო. მას ეყო გაბედულობა, რომ ჩაეკეტა ისინი და ცეცხლის მსხვერპლად დაეგდო. თუ მას თითონ არ უქმნია ეს, თუ ეს სხვებმა ჩაიდინეს, ხომ იცოდა იმან მაინც? ეს კიდევ არაფერი, რომ იცოდა; აკი გასაღებიც თან წაიღო! მაშასადამე ასე სდომებია. წვა და კაცთა მუსრვა, ლანტენაკის ხელობა არის. შემშვეგ იქნება თითონაც სწუხდა. მშობლის გულისაკლავმა მოთქმამ გააღვიძა იმაში სინიდისი. ისიც მობრუნდა; სიბნელისაკენ მიდიოდა და სინათლისკენ მოიქცა, — დანაშაულობა ჩაიდინა, შემდეგ გასწორება მოინდომა. ნუ თუ ეს ანგარიშში მისაღები არ არის! ზოგენმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

## გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა .

### IX.

მეორე დღეს დილით შეკრბენ სამხედრო მოსამართლენი. მსაჯულები სულ სამნი იყვნენ: სიმურდენი, რომელიც, თავსმჯდომარეაბდა, ერთი კაპიტანი

და ოფიცრის ხელქვეითი რადუბი; კაპიტანი სიმურ-  
დენს მარჯენით უჯდა, რადუბი-კი — მარცხნით.  
შველა დანარჩენი ოფიცრები და სალდათებიც მოვი-  
დნენ საყურებლად. მის ყარაულს ებრძანა ტუსა-  
ლის შემოყვანა იაინი წავიდნენ და ერთის წამის შემ-  
დეგ დაბრუნდნენ. იმათ ზოგენი მოჰყვებოდა. სიმურ-  
დენმა რაღაც გამოურკვეველობაში წამოიძახა:

— მე ხომ ტუსალისთვის გაგზავნი?

— მე ვარ ტუსალი, სთქვა ზოგენმა.

— შენ?

— მე.

— ლანტენაკი სადლა არის?

— ის თავისუფალია.

— როგორ თუ თავისუფალი?

— ზანთავისუფლებულია.

— ზანა გარდაიხვეწა ის?

— ზარდაიხვეწა. — სიმურდენმა ერთს წამს თავი

ჩაჰკიდა, შემდეგ ისევ ასწია.

— იმას უშველეს? იკითხა პარ-კუშად თავსმჯდო-

მარემა.

— დიახ, სთქვა ზოგენმა.

— ვინ უშველა?

— მე.

— ხომ არ გაგიჟდი?

— ზე გამოუშვი ის.

— როგორ შესძელი შენ მაგის ქმნა?

— ლამით წავედი მე იმასთან; ზუშაგმაც, რასაკვირველია, გზა მომცა; მე გაეიხადე ჩემი წამოსასხამი და მას მოვასხი; ის ჩემ მაგიერ გამოვიდა და მე-კი იქ დავრჩი.

— შეუძლებელია! უნდა მოიყვანოთ ლანტენაკი!

— ის წასულია. სალდათებს შე ვეგონე და გზა მისცეს. ბნელოდა.

— მიმეორებ, — შენ გაგვტყუებული ხარ!

— მე მოგიტხრობ, რაც იყო.

— სიმურდენმა, სრულიად გაჯითრებულმა, გაჯავრებით წარმოსთქვა: შენ მაგისთვის...

— სიკვდილით დამსჯიან, დაასრულა ზოვენმა.

სიმურდენი მღუმარებამ მოიკო: ზოვენი მისთვის უძვირფასესი კაცი იყო. მოიფიქრებდა ის როდესმე ნაშვილების გასამართლებას? მართ წამს მან შეაკაფა თავისი მღელეარება და მტკიცედ წარმოსთქვა: შენ მაგისთვის სამართალს უნდა მიეცე. დასხედიოთ.

ზოვენი ჩამოჯდა ლანტენაკისათვის მომზადებულს სკამზედ. შარაულებს უბრძანეს, რომ ხმლები ამოეგოთ. ფოლადმა გაიკრიალა.

სიმურდენის მამობრივი ხმა სულ სხვა კილოზე

შეიცვალა: ის სქექდა სასტიკად, შეუბრალებლად. ბრალდებულთ, წამოდეკა! წარმოსთქვა მან.

ბოვენი წამოდგა. სიმურდენი კითხვებს აძლევდა წესისამებრ:

— თქვენი სახელი?

— ბოვენი.

— რა წოდებისა ხართ!

— ბატალიონის გამგე.

— ბარდახეწილის ნათესაფი ხართ თქვენა?

— მისი დასწული ვარ.

— თქვენ იცით დაუსწრებელი კანჩინებით რა გადაუწყეიტეს იმას?

— მიცი, განაჩენი ჩემგან ხელ-მოწერილია.

— ღამცველი აირჩიეთ.

— მე თითონ ვილაპარაკებ.

— შეგიძლიათ მოჰყვეთ.

ბოვენი ჩაუტიქრდა, თითქოს სათქმელად სიტყვებს ეძებსო.

სიმურდენმა გაუმეორა: სთქვით, რით იმართლებთ თავს?

ბოვენმა თავი ზევით ასწია, თვალეზი დედამიწას მიაშტერა, რომ არაფისთვის შეეხედნა, და დაიწყო თავის სიტყვა.

— მე უნდა ესთქვა, რომ ერთმა მოქმედებამ დაჰფარა ჩემ წინ მეორე: მე დაფინახე ჩემს ახლო, თუ როგორ მოიმოქმედა კაცმა კეთილი საქმე და ამ

დროს ჩემის გონებიდან გამოვიდა ასობით ბოროტი საქმენი ამავე კაცისა. მან ბავშვები დაიხსნა და მე ეერ შემეძლო იმათი დახსნა. ჭეღაფერი წინანდელი მე დაევიწყე და მივანიჭე მას თავისუფლება. თუ დამნაშავე ვარ, სიკვდილით დამსაჯეთ.

ბე ის შეჩერდა.—მას მიუბრუნდა სიმურდენი:

— არაფერი გაქვს დასაძენი?

— არაფერი მაქვს.

— დასხედით.

ამის შემდეგ კანონიდან ამოკითხულნი იქმნენ ის ადგილები, რომლითაც სიკვდილით დასჯა გადაეკრება იმას, ვინც მძიმე დანაშაულობის ჩამდენს გაქცევაში უშველის.

— ბრალდებულო, მოისმინეთ ყურადღებით, უთხრა სიმურდენმა. ჩვენ მოსამართლენი შევეუდგებით ბრალდებულობის განხილვას. ჩვენი რჩევა დასაფარავი არ არის. თითოეული ჩვენ სამთაგანი თავის აზრს წარმოსთქვამს საჯაროდ. დაბოლოებითი გარდაწყვეტილება დადგინდება ხმის უმრავლესობით. ძაპიტანო. დაიწყეთ!

ძაპიტანმა, ლოდივით უძრავმა, მოჰყვა ერთნაირის ხმით: კანონი ცხადია. მაგის დარღვევა შეუძლებელია. ძველს რომში მანლიმ თავისი შვილის სიკვდილით დასჯა უბრძანა მისთვის, რომ მან გაიმარჯვა ბრძანების მიუღებლად, იქ მხოლოდ წესიე-

რების დარღვევა იყო, აქ-კი კანონის კაცი სიბრალულის გრძნობას დემორჩილა და სამშობლოს ზიანი მოუტანა. ამ გეარ შემთხვევაში გულ-შემატკივრობა დანაშაულობა არის. ზოგენმა უშველა გაქცევაში მემამობე ლანტენაკს; ზოგენი დამნაშავეა, მე ვლგე-ვარ იმაზე, რომ ის სიკვლით დაისაჯოს.

— დასწერეთ, უბრძანა სიმურდენმა.

— დასწერეს: პირველი აზრი—სიკვდილით დაისაჯოსა.

სიმურდენი მიუბრუნდა რადუბს: სიტყვა სასამართლოს მეორე მწვერზეა.

რადუბი წამოდგა, შემობრუნდა ზოგენისკენ, პატივი მისცა მას მხედრულად და შემდეგ თავის მქე-ქარე ხმით დაიწყო:

— მაშასადამე მეც უნდა სიკვდილით დაისა-ჯო, რადგანაც, სინილის ქვეშ რომ ვსთქვა, მე ვი-სურვებდი, ქეშმარიტად ვისურვებდი, ჩამედინა ის, რაც პირველად მარკიზმა ჩაიდინა და შემდეგ ის, რაც ბა-ტალიონის გამგემ მოიმოქმედა. ღვინახე თუ არა, რომ მოხუცი ცეცხლში შეიჭრა სამი ბაეშეისთვის, მაშინვე ვიფიქრე: კარგი კაცი უნდა იყოს მეთქი. მწლა-ხელმეორედ ვხედავ, რომ ჩემმა უფროსმა, დაიხსნა მოხუცი; ეს ისეთი ცხადი საქმეა, რომ, თუ ჩემი ნება იყოს, ჩემს უფროსს ჩინსაც და ჯვარსაც მივსცემ-დი. ამბობენ რომ ის სიკვდილით უნდა დაისაჯოსა.

რაკი სიკვდილით დასჯიან, ის ხომ აღარ იქნებოდა ცოცხალი, საჭიროა კი, რომ იყოს, რადგან ის ყველასთვის სასარგებლო კაცია. იმან რომ მოხუცდები დაიხსნა? მოხუცმა რომ ბავშვები დაიხსნა? მართავე კარგი უქმნია, და რას ემსგავსება სიკეთისათვის დასჯა! მე სხვაფრივ ეს ვერ გამოვიგია, და რაღა სხვაფრივ მანა უმჯობესი იყო, რომ ყმაწვილები დაბუგულად ყვნენ ან და მოხუცმა რომ ისინი ცეცხლიდგან გამოიყვანა და მისთვის ყელი გამოეჭრა? ეს გაუგებარია. რად უნდა სჭამდენ ადამიანები ერთმანერთს ბაშხეცლები კაცი ჩვენ ჩვენი უფროსი გვიყვარს წინეთაც გვიყვარდა და ეხლაც გვიყვარს. მა სიბრძნევეა, მითომ მისი სიკვდილი იყოს საჭირო. მისთვის არის საჭირო? რისთვის? სრულიად შეუძლებელია.

რადუბი აღელვებული დაეშვა საჯდომზე. სიმურდენი მიუბრუნდა მას.

— მაშასადამე ოფიცრის ხელქვეითი რადუბი მაზედ დგას, რომ გავამართლოთ.

— მე იმ აზრისა ვარ. რომ ჩვენს უფროსს უმაღლესი ჯილდო მიეცეს—გენერალი გახადონ.

— მაშ შენ გამართლებასე დგახარ? აი, თუ არა?

— შეკეთუ ჰსურთ ვისიმე თავის მოჭრა, უმჯობესია ჩემი მოსჭრან; მე ამაზე უფრო თანახმა ვარ.

— დასწერეთ, სთქვა სიმურდენმა.



დასწერეს: მეორე აზრი — «მამართლდეს».  
ხმები გაიჟო. მართი ხმა სიკვდილით დასჯას  
იბოხვდა, მეორე გამართლებას.

რიგი სიმურდენზედ მიდგა. ის წამოდგა გაფით-  
რებული. მის პირის სახეს საშიშარი სამარის ფერი  
გადასდებოდა. მისი ხმა ყრულ გაისმოდა; სიტყვები  
ნელა სდიოდა, მაგრამ მტკიცე შეხედულობა ჰქონდა.

— ბრალდებულო, მიუბრუნდა სიმურდენი ზო-  
ვენს; კითხვა ბრალდების შესახებ განხილულია ორი-  
ვეს მხრით. მართის ხმის უმეტესობით. სიმურდენს ენა  
დაება. ჭველანი სულ განაბული ელოდენ: აბა რა-  
ზედ დაეტყო მას რყევა? ლექსი «სიკვდილი», თუ ლექ-  
სი «სიცოცხლე» ედება ენაზედ? ბოლოს სიმურდენმა  
დაასრულა.

— სიკვდილით დასჯა გადამიჭრია. შემდეგ დაუ-  
მატა: სიკვდილით დასჯა უნდა შესრულდეს ხეალ-  
დილით, როცა მზე ამოვა.

ზოგენი წამოდგა და თავი დაუკრა.

— მხლა კი წაიყვანეთ ის, სთქვა სიმურდენმა.  
ზოგენი წაიყვანეს ხმლით ამოწვდილმა ყარაუ-  
ლებმა. რადუბი ავად შეიქნა. მართმა აღრინდელმა  
კრილობათაგანმა მისმა თავი იჩინა და კისერზე რამ-  
დენიმე წამს სისხლი სდიოდა.

---

## მსჯავრ დაღებული

### X.

ბანაკს რალაც მღელვარება დაეტყო, რადგან უკმაყოფილო დარჩა იმ განაჩენით, რომლითაც ბოვენს სიკვდილით დასჯა გადაუჭრეს. ხედავდნენ, რომ სიმურდენი ერთობ უწყალოდ მოექცა. ჰსურდათ, რომ მას მოესპო სიკვდილით დასჯის განაჩენი ბოვენზედ, მაგრამ სიმურდენი თავისას არ იშლიდა. მან უბრძანა საწამებელი ბოძის მომზადება.

დაღამდა. სიმურდენს ძილი გაუტყდა და ბოვენთან წავიდა. ბოვენი მას უგულითადვის სიხარულით მიეგება; მას მოაგონდა ყველაფერი, რითაც დავალებული იყო ის სიმურდენისგან.

— შენ ხარ ჩემი აღმზრდელი, ეუბნებოდა ის სიმურდენს; შენ გამიხსენი მე გონება, შენგან შეეიგენ მე სიყვარული ჭეშმარიტებისადმი. უშენოდ განა მე კაცი ვიქნებოდი? ამათ შორის გაიბა ერთი მათგან შეყვარებული საუბართაგანი. ისინი ლაპარაკობდნენ იმაზედ, თუ როდის დადგება ისეთი დრო, როცა კაცობრიობა იწყებს ძმურად ცხადვრებას, როცა ბოლო მოეღება შუღლს, შიმშილობას, როცა ბოროტების ფილა დაიკლებს. ბოვენი დაიმედებული იყო, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი გაუმჯობეს-

დებო. სიმურდენი კი იკენეულობდა, — ახალაზნა  
კაცის აზრს ოცნებას უწოდებდა. ხეაღინდელი დღის  
ამათ არაფერი გაეგებოდათ, თითქმის კიდევ დაავიწყ-  
დათო. ამათ სურდათ წინ გაეხედათ, გაეზოპათ, თუ  
რა იქნება საუკუნოების შემდეგ მომავალში.

— მხლა ჩვენი ცხოვრება ატეხილ ქარიშხალს წა-  
გავს, ეუბნებოდა ზოვენი. მაგრამ სამუდამოდ ხომ არ  
იქნება ეს მღვლეარება. ამის შემდეგ დადგება მყუდროე-  
ბა და ყველაფერი ორჯერ უკეთ აჰყვავდება. ბუნება-  
ში ყოველთვის აგრე ხდება, — ერთი კვდება, სხვა იბა-  
დება — ახალი უფრო ძლიერი.

ზოვენი ჩაფიქრდა. არც მასპინძელს და არც  
სტუმარს არ შეუნიშნაეთ, ისე განელო რამდენიმე  
საათმა მათ ლაპარაკში. ღამე მიიწურა; გარეთგან  
ისმოდა ცულის რახუნი, — საწამებელი ბოძის ჰედას  
რჩებოდენ. სიმურდენს ქრეოლამ დაჟარა და თავი  
წამოსწია. ზოვენი სხვაზედ ფიქრობდა და ვერც კი  
შეამჩნია მას მღვლეარება. სიმურდენი წამოდგა ჩა-  
ლის ლეიბითგან, რომელზედაც ისინი ისხდნენ; ზო-  
ვენს არც ეს შეუნიშნაეს. სიმურდენი წყნარად გა-  
მოვიდა. მის გულს რაღაც ლოდივით მძიმე ჩამოაწვა.  
ზოვენის დაკარგვა მისთვის ერთობ დიდი დასაკლისი  
იყო.

ლაპარაკობდენ ბანაკში, რომ უკანასკნელს წამს  
სიმურდენი მორბილდებდა და აპატიებდა, მაგრამ

ამაოდ. მან არ შეიბრალა ზოვენი. იგი დილით სიკ-  
ედილით დასჯილი იქმნა. მაგრამ იმ წუთში, როცა  
ზოვენის კისერზედ ცული დაეშვა, ამ ცულის ხმას  
შეუერთდა დამბაჩის გრიალი, — სიმურდენმა თავი  
მოიკლა.

არსენ წითლიძე.

დასასრული.